გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

გორის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

სამოქალაქო ბიუჯეტი - მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

აღნიშნული ინიციატივა შეესაბამება **მოქალაქეთა ჩართულობის** თემას, რადგან შემოთავაზებული პრაქტიკის მიზანია ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

3. **პრაქტიკის/ნიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

მარტა ბიბილაშვილი, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დირექტორი (+995) 577 53 83 20. developmentgori@gmail.com აღნიშნული პროექტი 2016 წელში ინიცირებულია პოლონური ორგანიზაცია „საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის“ მიერ

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

ტერმინი „ადგილობრივი თვითმმართველობა“ გულისხმობს, მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებულ და კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებას, შესაძლებლობას და პასუხისმგებლობას, თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, თუმცა აღნიშნული მიმართულებით რამდენიმე გამოწვევა არსებობს, ყველაზე დიდ პრობლემას კი წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებაში ნაკლები მოტივაცია, აღნიშნულის გამომწვევი ერთერთი მიზეზი რა თქმა უნდა წინარე გამოცდილების არ არსებობაა. მეორე მხრივ მოქალაქეები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათ ნაცვლად

გადაწყვეტილების მიმღები პირების მიმართ, რაც მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებლებს შორის ურთიერთობის ნეგატიურ ფორმას იღებს.

წარსული გამოცდილება - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

მოქალაქეთა უმრავლესობას არ სურდა პასუხისმგებლობა აეღო საკუთარ თავზე და ჩართულიყო თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, რადგან ისინი თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ როცა მთელს პასუხისმგელობას აკისრებენ ადგილობრივ აღმასრულებელ ან წარმომადგენლობით ორგანოს. აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის ერთის მხრივ საჭირო იყოს მოსახლეობის მოტივაციის გაღვივება ხოლო მეორეს მხრივ სპეციალური პროექტის/პროგრამის შექმნა რაც მოტივირებულ მოსახლეობას მისცემდა საშუალებას ჩართულიყო თვითმმართველობის პროცესში, რაც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტს 2016 წლამდე არ ქონდა.

პასუხი არსებულ გამოწვევაზე - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

2016 წელში პოლონურმა ორგანიზაციამ, „საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი“, საქართველოში დაიწყო თანამონაწილეობით/სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის პოპულარიზაცია, რომელშიც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო, მერის ბრძანებით განისაზღვრა პროექტის ფუნქციონირების წესი/მეთოდოლოგია (იხ. დანართი N1) ბიუჯეტის მოცულობა და დაიწყო პროექტის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესში, კერძოდ ბიუჯეტის დაგეგმვისას, პირველ წელს აღნიშნული პროექტისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიყო 900 000 ლარი, მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეული დაიყო 6 „ზონად“ და მოსახლეობას მიეცა საშუალება განესაზღვრა მისი „ზონის“ საჭიროება, და მათ შორის გამოეკვეთა პრიორიტეტი. პირველ წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში 32 საპროექტო განაცხადი წარადგინა მოსახლეობამ მერიაში, რომელთაგანაც 13 პროექტი აისახა ბიუჯეტში და განხორციელდა 2017 წელს. 2017 წელს პროექტი ისევ განმეორდა, ბიუჯეტის იგივე მოცულობით (900 000ლ), მაგრამ ამ ჯერად მოქალაქეთა აქტიურობამ იმატა განსახილველად 71 საპროექტო განაცხადი იქნა წარმოდგენილი მათგან სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭომ 30 პროექტი ასახა ბიუჯეტში განსახორციელებლად, თუმცა 2017 წელს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები შეიცვალა და 2018 წელს მხოლოდ 9 პროექტი განხორციელდა. მას შემდეგ რაც მოხდა 2017 წლის განხორციელებული პროექტების და პროგრამების ანალიზი, მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ ერთობლივად გადაწყვიტეს 2018 წელში სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი მთელს მუნიციპალიტეტზე განხორციელებულიყო (ქალაქი და თემი). პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტი (33 ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული) დაიყო 28 ზონად და პროექტის ბიუჯეტად 2 800 000 განისაზღვრა. მიმდინარე წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსახლეობამ შემოიტანა 167 საპროექტო განაცხადი, წარმომადგენლობითმა საბჭოებმა 74 დაუჭირა მხარი (იხ. დანართი N2), აღნიშნული პროექტები შეტანილია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში დასაფინანსებლად.

5. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

გორის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, აღმოსავლეთით – კასპის, სამხრეთით – ბორჯომისა და წალკის, დასავლეთით – ქარელის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 2327,2 მ2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი გორი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია 45წთ-ს სავალზე, 75 კმ-ით, ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 70წთ-ს სავალზე, 93 კმ-ით. მუნიციპალიტეტი მდებარეობს საერთაშორისო საავტომობილო გზის (სარფი, სამტრედია, გორი, რუსთავი, წითელი ხიდი) მაგისტრალზე, რომელიც ქ. გორიდან 3 კმ-ით არის დაშორებული. ასევე, გორის მუნიციპალიტეტში გადის ქვეყნის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი. შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

გორის მუნიციპალიტეტი აერთიანებს 1 ქალაქსა (გორი) და 120 სოფელს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 125 692 ადამიანს შეადგენს - მამაკაცები (48.3%) და ქალები (51.7%). მუნიციპალიტეტი დაყოფილი 33 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად.

მოსახლეობის 38% ქალაქში, ხოლო 62% სოფლად ცხოვრობს. მამაკაცების საშუალო ასაკი შეადგენს 36,8 წელს, ქალების საშუალო ასაკი- 40,6 წელს, შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი - 59,1%-ია, ხოლო უმუშევრობის დონე - 12%[1]. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იზრდება მიგრაციის ტენდეცია, განსაკუთრებით ეს ეხება კვალიფიციურ მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან ქვეყნის დედაქალაქსა და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული დასაქმების შესაძლებლობების გამო.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში გორის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმატებით გაგრძელება განაპირობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მზაობამ ხელი შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ქონდა არაერთფეროვანი დამოკიდებულება პროექტის მიმართ წინა გამოცდილების არ არსებობის გამო და რიგ შემთხვევაში არ წარმოადგინეს ბევრი პროექტი, რომლიდანაც მეთოდოლოგიის თანახმად თვითონ შეარჩევდნენ მათთვის პრიორიტეტული

[1] დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობენ და ამ ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ მიიჩნევს თავს დასაქმებულად

პროექტს განსახორციელებლად. იყო შემთხვევები როდესაც ერთიდაიგივე პროექტი მოსახლეობამ სხვადასხვა დასახელებით შემოიტანა.

- **გარეშე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ასეთი გარემოება არ არსებობს.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**

2018 წელს პროექტის განსახორციელებლად შედგა სამუშაო ჯგუფი, (მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ხელმძღვანელების, საკრებულოს წევრები, საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის წარმომადგენლობის და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებით დაკომპლექტებული) სამუშაო ჯგუფმა განიხილა სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი, გასული წლების გამოცდილება, გადახედა პროექტის მეთოდოლოგია, ბიუჯეტის მოცულობას და შეიმუშავა რეკომენდაციების რომლთა გათვალისწინება მოხდა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემულ ბრძანებაში (იხ. დანართი N3 და N1). პროექტის სამოქმედო გეგმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ა) **I ეტაპი:**
მიმდინარე წლის 25 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით -- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროექტის კოორდინატორი,ანუ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში, (თემის მობილიზატორებთან ერთად) ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, თითო ერთეულში არანაკლებ ერთ შეხვედრას და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების მიზნებზე და შესაძლებლობებზე; საჭიროებისამებრ, ეხმარება მოსახლეობას პრობლემების და პრიორიტეტების გამოვლენაში.

ბ) **II ეტაპი:**
მიმდინარე წლის 21 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით -- მოქალაქეები მუნიციპალიტეტში აგზავნიან სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში საპროექტო ინიციატივების განაცხადის ფორმებს. კოორდინატორი ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებლებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განცხადების სააპლიკაციო ფორმის შევსებაში . განაცხადების მიღების პერიოდში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს.

გ) III ეტაპი:

მიმდინარე წლის 16 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით -- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) საპროექტო ინიციატივების განაცხადებს წარუდგენს გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად, სადაც საპროექტო ინიციატივები განიხილება ტექნიკური, ფინანსური სამართლებრივი, სამუშაოების განხორციელების ვადების და აქტუალობის გადამოწმების თვალსაზრისით. მოწონებულ, გადამოწმებულ საპროექტო ინიციატივებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" გადასცემს კოორდინატორს ,დასახლებების ერთეულების „წარმომადგენლობით საბჭოებზე" საბოლოოდ განხილვის მიზნით .

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები);

ბ) ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება);

გ) ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);

დ) პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);

ე) ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია);

დ) IV ეტაპი:

მიმდინარე წლის <u>6 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით</u> – „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს" მიერ მოწონებული საპროექტო ინიციატივებიდან „წარმომადგენლობითი საბჭოს" მიერ , პროგრამის პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით , კონსესუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ), შეირჩევა კონკრეტული საპროექტო ინიციატივა, რომელიც წარმომადგლობითი საბჭოს მიერ წარედგინება კოორდინატორს, ხოლო კოორდინატორი წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

ე) V ეტაპი:

მიმდინარე წლის 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე – გამარჯვებული საპროექტო ინიციატივების შესახებ, კოორდინატორების ხელშეწყობით, ეცნობება გორის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც თავის მხრივ ერთობლივად აცნობებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"-ს, გამარჯვებული პროექტების სტატისტიკური აღრიცხვისათვის,

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინებისათვის და უფლებამოსილ პირს, გამარჯვებული პროექტების საჯარო გამოქვეყნებისათვის.

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 3322 და დანართი N1

წარმომადგენლობითი საბჭოების ოქმები

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი ინიცირებული იყო პოლონური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას, საერთაშორისო სოლიდარობის ფონდასა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს შორის გაფორმა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი (იხ. დანართი N4) და განისაზღვრა მხარეთა უფლება მოვალეობები. მემორანდუმის ფარგლებში პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერა მიღებული გრანტით უზრუნველყო გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ. პროექტის თითოეულ ზონაში დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა გორის მერიის ფეისბუქ გვერდის, ადგილობრივი ტელე-რადიო საშუალებების მეშვეობით. ასევე შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა სტრატეგიული განვითარებს სააგენტოს ფეისბუქ გვერდის და მეილის მეშვეობით (ყოველი მომდევნო ეტაპის შესახებ მეილით ინფორმაცია ვრცელდებოდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების შორის რათა მათ თავის მხრივ ინფორმაციის გავრცელება უზრუნველეყოთ თავის ბენეფიციართა შორის).

ინფორმაცია გამოყენებული რესურსის (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**

პროექტის განხორციელებისას გორის მუნიციპალიტეტის მერიას ფინანსური რესურსის საჭიროება არ ქონდა, თუმცა საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებაში გორის მუნიციპალიტეტის მერის ყველა წარმომადგენელი (მერს ყავს წარმომადგენელი თითოეულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში) იყო ჩართული .

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

საინფორმაციო შეხვედრებისა და პროექტების წარმოდგენისათვის მოკლე ვადა განისაზღვრა, რაც განპირობებული იყო პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ვადებით (5 ოქტომბრისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ფორმირებული უნდა იყოს).

შემჭიდროვებულ ვადების გამომ მთელს მუნიციპალიტეტში, პროექტის თითოეულ ზონაზე განხორციელდა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებით. შეხვედრების განრიგი გავრცელდა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საინფორმაციო არხის გამოყენებით.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი“ და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ურთიერთ თანამშრომლობით, მოკლე ვადაში მოხდა მაქსიმალური შედეგის მიღწევა.

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტით მუნიციპალიტეტმა საშუალება მისცა მუნიციპალიტეტის მოსახელობას ჩაერთონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში და განახორციელონ მათთვის კანონით უზრუნველყოფილი ფუნქცია მოვალეობა. სულ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქალაქეებმა პროექტის ფარგლებში წარადგინეს 167 საპროექტო განაცხადი და კონსენსუსის წესით, მათ მიერ შემდგარი წარმომადგენლობითი საბჭოს დახმარებით შეარჩიეს 74 . აღნიშნული პროექტები აისახა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში და წარედგინება საკრებულოს დასამტკიცებლად.

პროექტის პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა ვიდეო რგოლი: https://drive.google.com/file/d/1aO_IwYMMBH9OBTVp9mSAkxOiMnwaC-lf/view?fbclid=IwAR2rOCQy_Iz1_aEQkOa0S8OA9aZzhH1zm8B9t9W8LA7TpR-pnuoVRqsQvvY

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

პროექტის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთ თანამშრომლობით და

მზაობით მისცეს მოსახლეობას მეტი საშუალება ჩაერთონ თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**

2019 წელს მოხდება 2018 წელში მოსახლეობის მიერ დაგეგმილი პროექტები რეალიზაცია, ხოლო ამავდროულად დაგეგმილია 2020 წლისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის იგივე „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროექტის მეთოდოლოგიის განხორციელება.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგის შეფასების საკითხში:**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, პროექტის განხორციელების პირველივე ეტაპიდან ჩაერთო პროექტის განხორციელებაში.
მოსამზადებელ პერიოდში საკრებულოს ერთერთი სხდომის დასასრულს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საკრებულოს სრული უმრავლესობა (მათ შორის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები). მოგვიანებით არსებული მეთოდოლოგიის განხილვის მიზნით შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ასევე იყო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე, და რამდენიმე კომისიის წევრი. აღნიშნული ადამიანები ჩართულები იყვნენ ასევე სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაშიც (საბჭო ტექნიკური თვალსაზრისით ამოწმებდა მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილ საპროექტო ინიციატივებს).

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ინიციატივის შერჩევის საკითხში:**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მხარს უჭერს მერიის მიერ წარმოდგენის ინიციატივებს.

- **როგორი იყო საკრებულოს ფრაქციების დამოკიდებულება ამ საუკეთესო პრაქტიკების მიმართ;**

საკრებულოს წევრთა დიდი უმრავლესობა (პოზიცია, ოპოზიცია) საპროექტო იდეას თავიდანვე მხარი დაუჭირა, მოგვიანებით გამოითქვა მოსაზრება გარკვეული ცვლილებები შევიდეს 2019 წლისათვის პროექტში. აღნიშნულ ინიციატივისათვის განხილვა დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ.

11. **პრაქტიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

გორის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო შეაჯამებს სამოქალაქო ბიუჯეტის 2018 წლის პროექტს, გადახედავს მეთოდოლოგიას, საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს და 2019 წელს მიმდინარე წლისგან განსხვავებით, უფორმ ადრე დაიწყებს საინფორმაციო კამპანიას მოსახლეობაში.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის კოორდინატორი საქართველოში - ურშულა მაჟევსკა, Email: urszula.majewska@solidarityfund.pl

გორის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი - გელა კაპანაძე, Email: gelakapanadze02@gmail.com T - 599 14 66 14

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. დანართი #1 - პროექტის ფუნქციონირების წესი/მეთოდოლოგია;

2. დანართი #2 - წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმები

3. დანართი # 3 - ბრძანება # 3322

4. დანართი #4 - ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი;